საქართველოს მთავრობის განკარგულება

№461 2018 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი

ქრონიკული D ჰეპატიტით დაავადებული ბენეფიციარებისათვის მედიკამენტის „პეგილირებული ინტერფერონის“ გადაცემის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიეცეს უფლება, მის ბალანსზე რიცხული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილების (შემდგომში – დადგენილება) ფარგლებში შესყიდული მედიკამენტი – „პეგილირებული ინტერფერონი“ მოხმარების მიზნით გადასცეს დადგენილებით განსაზღვრულ შესაბამისი სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებს, ქრონიკული D ჰეპატიტით დაავადებული ბენეფიციარებისათვის.

2. მედიკამენტ – „პეგილირებული ინტერფერონის“ ქრონიკული D ჰეპატიტით დაავადებული ბენეფიციარებისათვის გადაცემა განხორციელდეს დადგენილებით განსაზღვრული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ შემდეგი პირობებით:

ა) მედიკამენტის „პეგილირებული ინტერფერონის“ დარიგება განხორციელდეს ქრონიკული D ჰეპატიტით დაავადებულ, მკურნალობის პროცესში ჩართულ ბენეფიციარებზე 2018 წლის ივნისის ბოლომდე, სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებასა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

ბ) სერვისის მიმწოდებელმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს გაცემული მედიკამენტის შესახებ ყოველთვიური ანგარიშგების ჩაბარება სააგენტოსთვის. ანგარიშგებისას წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებისა და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა №IV-100/ა) ასლები.

3. დაევალოს სააგენტოს, ზედამხედველობა გაუწიოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ აქტივობას და უზრუნველყოს გაცემული მედიკამენტების რაოდენობის მართვა, ვადების კონტროლი და ჩამოწერა სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**